N გ-25-03/83
20/01/2025

83-გ-25-03-2-202501201348

**სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს**

**შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2025 წლის 30 იანვარს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო: 21:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „ინექსფონის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხი *(საფუძველი: სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ -ის წერილი (კომისიაში შემოსვლის N: შ-24-3/5315; 10.12.2024).*

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

ასევე გაცნობებთ, რომ შპს ,,ინექსფონის“ მიერ სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სთვის 2024 წლის 31 დეკემბერს მიწერილი წერილისა (კომისიაში რეგისტრაციის N: შ-24-6/5643, 31.12.24) და შპს ,,ინექსფონსა“ და სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს შორის 2024 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული შედარების აქტის მიხედვით, შპს ,,ინექსფონს“, 2024 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით, არ აქვს ჩარიცხული აბონენტებისაგან ამოღებული სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მომსახურების საფასური 27197.60 ლარის ოდენობით. შპს ,,ინექსფონი“ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას და ადასტურებს, რომ აღნიშნულ დავალიანებას დაფარავს 2025 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, თანაბარი განაწილებით, მიმდინარე ვალდებულებასთან ერთად, რასთან დაკავშირებითაც სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის პოზიცია არ არის წარმოდგენილი.

2025 წლის 13 იანვარს, შპს ,,ინექსფონმა“ კომისიაში წარმოადგინა 2025 წლის 10 იანვრის N1736509904 და N 1736510398 საგადასახადო ქვითრები შპს ,,ინექსფონის“ მიერ 2024 წლის დეკემბრის (826 ლარი) და 2023 წლის ოქტომბრის დავალიანების (2413 ლარი) დაფარვის შესახებ.

გთხოვთ, შეტყობინების მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში კომისიაში წარმოადგინოთ სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის პოზიცია შპს ,,ინექსფონის“ წინადადებაზე
დავალიანების განაწილებით დაფარვასთან დაკავშირებით [1], ასევე, წარმოადგინოთ შპს ,,ინექსფონის“ დავალიანების შესახებ განახლებული ინფორმაცია[2].

**დანართი:**

1. შპს ,,ინექსფონის“ 2024 წლის 31 დეკემბრის წერილი სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ ,,112“ - ს (კომისიაში რეგისტრაციის N: შ-24-6/5643, 25.12.24).

2. შპს ,,ინექსფონსა“ და სსიპ ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ ,,112“ -ს შორის 2024 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული შედარების აქტი (კომისიაში რეგისტრაციის N: შ-24-6/5643, 31.12.24).
3. 2025 წლის 13 იანვარს, შპს ,,ინექსფონის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი 2025 წლის 10 იანვრის N1736509904 და N 1736510398 საგადასახადო ქვითრები შპს ,,ინექსფონის“ მიერ 2024 წლის დეკემბრის (826 ლარი) და 2023 წლის ოქტომბრის დავალიანების (2413 ლარი) დაფარვის შესახებ.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი